

ოქმი # 4

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის სხდომისა (სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქაღიშიანი (საბჭოს თავ-რე), მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ნ. ინასარიძე, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, გ. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა;
2. ინსტიტუტის ყოფილ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით;
3. ინფორმაცია „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამაში ახალი ქვეპროგრამის - „ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა - დამატების შესახებ.

მ ო ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2021 წლის 15 დეკემბერს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად (*თსუ რექტორის 2021 წლის 14 დეკემბრის # 265/01-01 ბრძანება*). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

ალგებრის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი - 2 სამტატო ერთეული

მათემატიკური ლოგიკის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამტატო ერთეული

მათემატიკური ანალიზის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამტატო ერთეული

დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი - 2 სამტატო ერთეული

მათემატიკური ფიზიკის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამტატო ერთეული

თეორიული ფიზიკის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამტატო ერთეული

მეცნიერი თანამშრომელი - 0.5 სამტატო ერთეული (ერთი)

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ: როლანდ დუდუჩავა, მერაბ ელიაშვილი, ხვედრი ინასარიძე, ალექსანდრე მესხი, თორნიკე ქაღიშიანი, ნუგზარ შავლაყაძე, მამუკა ჯიბლაძე.

ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე . ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **როლანდ დუდუჩავა** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

2. **მერაბ ელიაშვილი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

3. **ხვედრი ინასარიძე** - თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

4. **ალექსანდრე მესხი** - თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

5. **თორნიკე ქადეიშვილი** - თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

6. **ნუგზარ შავლაყაძე** - თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

7. **მამუკა ჯიბლაძე** - თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

2) თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს თ. ქადეიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე - მ. ჯიბლაძე, ხოლო კომისიის მდივანი - ა. მესხი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონი მიხეილ ჩხენკელის ნათქვამი გადასცა იმის შესახებ, რომ 2022 წლის მარტის თვისთვის თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი დაბრუნდება თავის ყოფილი შენობის (მ. ალექსიძის ქ. # 1) ჯერ-ჯერობით მე-2 სართულზე, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ მესამე სართულიც გათავისუფლდება ინსტიტუტისთვის.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 3 დეკემბრის N 1306886 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245475 ბრძანებაში. ცვლილება ეხება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამაში ახალი ქვეპროგრამის - „ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი - 32 05 04 06) - დამატებას.

ქვეპროგრამის მიზანია სამინისტროს სისტემაში შემავალ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტეგრირებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების და სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პროდუქტიულობის და მათ შორის ბოლო 20 წლის განმავლობაში, ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებული გრანტების ფარგლებში განხორციელებული პროექტების, გამოცემული პუბლიკაციების და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა და ამ ბაზის ღიაობის უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 1,396,500 ლარს, განხორციელების ვადებია 2021-2022 წლები.

აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება მათი ვებგვერდზე გადატანის გზით, „ღია მეცნიერების“ პოლიტიკის განვითარების ფარგლებში, რაც თავის მხრივ ქვეყნის მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირებისა და სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში წარმატებული მონაწილეობის წინაპირობა იქნება. ქვეპროგრამის ფარგლებში განვითარდება ეროვნული სამეცნიერო ელექტრონული პლატფორმა, რომლის ინტეგრირება შემდგომში უკვე მოხდება ევროპულ ქსელებთან.

საბჭოს თავმჯდომარე  თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი  მ. ჯიბლაძე

